ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ

2

წინამდებარე ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება") დადებულია 2011 წლის 3 იანვარი.

ერთს მხრივ, ს.ს. „სილქნეტი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N 95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978 (შემდგომში „კომპანია"), წარმოდგენილი მისი მომსახურების ხარისხის კონტროლისა და კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტების უფროსის ალექსანდრა ჩიქავას სახით, და

მეორეს მხრივ, იურიდიული მისამართი: ქ თელავი სოფ. წინანდალი , საიდენტიფიკაციო კოდი: # 231263619 (შემდგომში „აბონენტი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ორკოდამვილი სახით, შორის.

(ცალ–ცალკე, „კომპანია" და „აბონენტი" მოიხსენიებიან, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები")

1. „ხელშეკრულების" საგანი

წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით „კომპანია" „აბონენტს" უწევს გარკვეულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას (შემდგომში „მომსახურება"). კონკრეტული „მომსახურების" დეტალური აღწერა და „მომსახურების" შესაბამისი ტარიფები მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

2. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადა და „მომსახურების" გააქტიურება

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. წინამდებარე „ხელშეკრულება" ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იგივე ვადით, თუკი არ მოხდა მისი შეწყვეტა რომელიმე „მხარის" მიერ „ხელშეკრულების" ვადის გასვლამდე [30] დღით ადრე.

2.2. „მომსახურების" გააქტიურება ხორციელდება „მხარეებს" შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. „მომსახურების" ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. „კომპანიის" მიერ „აბონენტისათვის" მიწოდებული კონკრეტული „მომსახურების" ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართების საფუძველზე (შემდგომში „მომსახურების ღირებულება").

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს (--300----------) ლარს

დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით და შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების" დანართით, ყოველთვიური „მომსახურების ღირებულების" გადახდა „აბონენტის" მიერ უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. „მომსახურების ღირებულების" გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „კომპანია" უფლებამოსილია „აბონენტს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%–ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3.4. „მხარეთა" შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით „კომპანიის" ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.5. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულების" ცვლილებები ხორციელდება „კომპანიის" მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი საჯარო გამოცხადებიდან, ან/და „კომპანიის" ვებ–გვერდზე განთავსებიდან ან/და „აბონენტისათვის" შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ.

4. „მხარეთა" უფლება–მოვალეობები

4.1. „კომპანია" ვალდებულია:

4.1.1. „აბონენტს" მიაწოდოს ხარისხიანი „მომსახურება" წინამდებარე „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით" განთვალისწინებული ვალდებულებები.

4.1.3. არ გაამჟღავნოს „აბონენტის" პერსონალური ინფორმაცია გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა ან/და როდესაც „აბონენტის" დავალიანების გადახდა ხორციელდება მესამე პირთა მიერ.